შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი (2022-2029) გეგმის შესრულების ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი 2022-2024)

---

1. ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადება და კრიტერიუმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მომზადდა და ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებული კრიტერიუმებთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი შემდეგი დოკუმენტები:სკოლის მისიის და მიზნები, შინაგანაწესი, დებულება, სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი და შვიდწლიანი სამოქმედო გეგმები, საგნობრივი კათედრები, გრიფირებული სახელმძღვანელოების დამტკიცება, პედსაბჭოს სამუშაო გეგმა, კლასის დამრიგებლებისა და სადამრიგებლო პროგრამები, საათობრივი ბადე, ინკლუზიური განათლების დებულება, სასწავლო წლის კალენდრი, სასკოლო შეფასების ფორმები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემისა და ქულათა გამოანგარიშების წესი.

---

2. სპორტული დარბაზისა და სპორტული მოედნის კეთილმოწყობა

სკოლის ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით გარემონტდა და კეთილმოეწყო სკოლის პორტული მოედანი და სორტული დარბაზი. კერძოდ: სპორტული მოედანი გაიწმინდა სარეველებისაგან და მიწის საფარი მოშანდაკდა, დამონტაჟდა ფრენბურთის ბადე, მინი ფეხბურთის კარები, კალათბურთის ფარი. რაც შეეხება სპორტულ დარბაზს დაიწმინდა და შებათქაშდა კედლები, შეიღება, იატაკის საფარი მოეწყო სტანდარტის შესაბამისად და დაიგო ლამინატი, დემონტაჟი გაუკეთდა მეორე სართულზე დარბაზში ასასვლელ კიბეს, პირველი სართულზე შენობის შიგნით მოეწყო მეორე სართულზე-დარბაზში ასასვლელი უსაფრთხო კიბე, აქვე პირველ სართულზე მოეწყო ორი გასახდელი ვაჟებისა და გოგონებისათვის ერთმანეთისაგან იზოლირებული, შესაბამისად საშხაპეებისთ. პირველ სართულზე კეთილმოეწყო მაგიდის ჩოგბურთის ოთახი შესაბამისი ინვენტარით.

---

3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება (ინვენტარის შეძენა, სტენდის მოწყობა, ცეცხლმაქრების დამუხტვა).

სკოლის ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით გატარებულ იქნა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები: დამტკიცდა „ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი“ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით,საევაკუაციო გეგმების მიხედვით განსაზღვრულ ადგილებში განთავსებულია ცეცხლმაქრები, იქვე გამოკრულია ცეცხლმაქრების გამოყენების ინსტრუქცია. სკოლის პირველ სართულზე ასევე არის სახანძრო სტენდი, შესაბამისი ინვენტარით, ხოლო ყოველ სართულზე სახანძრო ონკანი, შესაბამისი სახანძრო შლანგით. სკოლას შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

4. სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

სკოლამ ოფიციალურად მიმართა უფლებამოსილ უწყებებს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების თაობაზე და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (შენობის მდგრადობა) დასკვნების მოსამზადებლად და ელოდება მათგან კანონით გათვალისწინებულ ქმედებებს (გაგზ. N4/51 05.08.2024, N4/53 12.08.2024)

5. სამედიცინო ოთახის მოწყობა და აღჭურვა სათანადო ინვენტარით, მედიკამენტებით.

მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების მიზნით სკოლამ ახალ შენობაში მოაწყო სტანდარტით დადგენილი ფართისა და შესაბამისი სამედიცინო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო პუნქი, სადაც შესაძლებელია ხარისხიანი პირველადი დახმარების აღმოჩენა.სკოლას შტატში ჰყავს ექთანი. გაწეული სამედიცინო დახმარება სისტემატიურად, ყოველდღიურად კვალიფიციური ექთნის მიერ რეგისრირდება და აღირიცხება კანონმდებლობით დადგენილი ფორმების ჟურნალებსა და სარეგიდტრაციო წიგნებში. პერიოდულად მიმდინარეობს ვადაგასული მედიკამენტების ამოღება და ახალი ნებადართული მედიკამენტების შეძენა. სკოლას გააჩნია საპანდემიო პერიოდისათვის საჭირო ინვენტარი, პირბადეები და სადეზინფექციო საშუალებები.

6. სათვალთვალო ვიდეო კამერების დამატებით შეძენა და მონტაჟი სკოლის შიდა და გარე პერიმეტრებზე.

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას შტატში არსებული წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერის, 11 გარე სივრცის დათვალიერების, 8 შიდა სივრცის დათვალიერების მოქმედი ვიდეოკამერისა და სართულებზე და ეზოში მორიგე მასწავლებლების მეშვეობით

7. სკოლის ელექტროდენით, გაზმომარაგებით, ინტერნეტით, წყალმომარაგებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება, შესაბამის ორგანოებთან სათანადო ხელშეკრულებების გაფორმება.

სკოლამ ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით მოამზადა ელექტროენერგით, გაზმომარაგებით,წყლამომარაგებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულებები, შესაბამის ორგანოებთან. წყალი, ელექტროენერგია და გაზი სკოლას მიეწოდება საქალაქო ქსელიდან, შესაბამისად საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან, სს ენერგოპრო ჯორჯიასგან და სოკარისგან. სკოლა უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული გათბობით.

8. სკოლის ვებგვერდის განახლება.

სკოლამ განაახლა ვებგვერდი. სისტემატიურად მიმდინარეობს ვებ-გვერდის ეფექტურად მართვისა და განახლების, ახალი ინფორმაციებით და აუდიო-ვიდეო ვიზუალური მასალებით შევსება. ვებ-გვერდზე განთავსებულია მარეგულირებელი, ნორმატიული დოკუმენტები და სკოლის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი უახლესი მასალები.

9. ქიმია-ფიზიკისა და ბიოლოგიის სასწავლო ლაბორატორიის და კაბინეტის მოწყობა.

სკოლამ ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით შენობის პირველ სართულზე მოაწყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია(ქიმია-ფიზიკისა და ბიოლოგიის სასწავლო ლაბორატორია და კაბინეტი) ავტონომიური გამწოვითა და წყლის ონკანითა და ნიჟარით, სადაც სტანდარტების დაცვით მიმდინარეობს პრააქტიკული ხასიათის გაკვეთილები და სასწავლო ცდები, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. ქიმიური ნივთიერებბეი და ცდებისთვის საჭირო ხელსაწყოები ინახება ავტონომიურად საკეტიან კარადებში. ყოველ ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ხდება ცდებისათვის რეკომენდებული ქიმიური ნიოვთიერებების შევსება.

10. სასკოლო ინვენტარის (მერხების, სკამების დაფების,პროექტორის ეკრანის, პროექტორი და სხვა) შეძენა, დამზადება, განახლება

სკოლას შეძენილი და ნაჩუქრობით მიღებული აქვს მერხების, სკამების, დაფების, პროექტორის ეკრანის და პროექტორის ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს ავტორიზაციის საბჭოს დადგენილებით სკოლისათვის განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის სასწავლო პროცესის წარმართვას. აღნიშნული დადასტურებულია საავტორიზაციო საბჭოს დასკვნით. სკოლაში სულ 25 კომპიუტერია(მათ შორის სამი ერთეულით შევსება განხორციელდა 2023-2024 სასწ. წ,).კომპიუტერული კლასში განთავსებულია 18 კომპიუტერი.

11. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით შევსება

სკოლის შენობის პირველ სართულზე მოეწყო და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს წარმოადგენს 1205 ერთეული მხატვრული ლიტერატურა და გრიფირებული სახელმძღვანელოები(მათ შორის 100 ერთეულით შევსება განხორციელდა 2023-2024 სასწ. წელს). წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას აქვს საინვენტარო წიგნი როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით - ექსელის პროგრამაში სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და ბიბლიოთეკარის თანაშემწე. ბიბლიოთეკა არის ინტერნეტითა და კომპიუტერით, ახლადშეძენილი თანამედროვე დიზაინის სამკითხველო მაგიდებითა და სკამებით უზრუნველყოფილი.

12. ინკლუზიური განათლების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა

სკოლაში არსებობს დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დებულება“ ,სკოლას შენობის პირველ სართულზე მოწყობილი აქვს რესურს ოთახი შესაბამისი ინვენტარით, ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისთვის. პირველ სართულზე შესასვლელად დამონტაჟებულია პანდუსი, ხოლო სართულებზე გადასაადგილებლად სკოლას დამზადებული აქვს ასაკეცი პანდუსი. პერსპექტივაში სკოლას დაგეგმილი აქვს ლიფტის დამონტაჟება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზე სკოლას არ ჰყავს არცერთი სსსმ და შშმ მოსწავლე.

13. სკოლის მონაცემთა ბაზის განახლება

სკოლაში სისტემატიურად მიმდინარეობს მონაცემები განახლება სკოლის მატერიალური ბაზის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონტიგენტის და სხვათა შესახებ.

14. სხვადასხვა სასკოლო კლუბების ჩამოყალიბება

სკოლაში ჩამოყალიბებულია და წარმატებით ფუქციონირებს შემდეგი კლუბები და წრეები:მხატვრული კითხვის კლუბი, მხატვრული ტანვარჯიშის წრე, ბყნებისმოყვარულთა კლუბი, ქართული ეროვნული ცეკვის კლუბი, ხატვისა და ძერწვის წრე. თითოელ მათგანს გააჩნია დამტკიცებული წესდება და სამუშაო გეგმა. კლუბებისა და წრეების მიერ პერიოდულად იმართება გამოფენები, კონცერტები და სხვადასხვა ღონისძიებები.

15. სკოლის ეზოს კეთილმოწყობა

ახალი სასკოლო შენობის მიმდებარე ეზო კეთილმოეწყო, გაკეთდა გაზონები და კლუმბები, დაირგო მრავალწლიანი მწვანე და ფოთლოვანი ნარგავები, ყვავილები და ხე-ხილის ნერგები. აღნიშნული სამუშაოები ხორციელდება სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით.

16. სწავლა- სწავლების ხარისხის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულ იმ ღონისძიებებს, რომლებიც სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას ისახავდა მიზნად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესასწავლად და დასანერგად. ეს პროცესი სკოლაში დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს .

სკოლაში სისტემატური კონტროლია დაწესებული გაკვეთილების, შემაჯამებელი დავალებებისა და გამოცდების მიმდინარეობაზე. ასევე მუდმივად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის სასწავლო აქტივობა, როგორიცაა პრეზენტაციები, კონკურსები, სასწავლო მიზნობრივი ექსკურსიები და სხვ.

ყოველ წელს სკოლას სტუმრობდნენ ქართულ ქალაქის ხელოვნებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები, სხვადასხვა დარგის პროფესიონალები (მათ შორის სკოლის მოსწავლის მშობლები), რომლებიც მართავდნენ შემოქმედებით საღამოებს, საჯარო ლექციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, გამოცდილების გაზიარებას და სხვ.

---

17. სოციალურ პროექტებში ჩართულობა

სკოლა წარმატერბით მონაწილეობს ქალაქის სოციალურ პროექტებში და ხშირად თავად არის ამგვარი პროექტების ინიციატორიც და განმახორციელებელიც

სკოლაში მოეწყო სააღდგომო ღონისძიება „სიკეთე გადამდებია“ მოსწავლეთა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის თანამშრომელთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვები, რომელთა შემოსავალიც ხმარდება საქველმოქმედო მიზნებს.

სკოლაში ტრადიციად იქცა ყოველი წლის საახალწლო და სააღდგომო დღეებში საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარება:

სკოლამ პანდემიის პერიოდში ჩაატარა საქველმოქმედო აქცია „უფასო პური ყველას“ , რომელიც მიმდინარეობდა ქალაქის სამ ლოკაციაზე (აღნიშნული აქცია განხორციელდა 4 ჯერ) .

სკოლა ტარდიციულად საახალწლო და სააღდგომო დღეებში დირექციის, ადმინისტრაციის, მასწავლებელთა და მშობელთა შემოწირულობებით გარკვეული რაოდენობის ფულადი სახსრებით ეხმარება როგორც ქალაქში მცხოვრებ მრავალშვილიან და შეჭირვებულ ოჯახებს, ასევე ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საგვიჩოს ორ ოჯახს.

ეს სკოლაში უკვე ტრადიციაა.

---

18. მოსწავლეთა სხვა აქტივობები

ჩვენი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში და სხვა კონკურსებში. სკოლამ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა სტივ ჯობსის ამერიკული აკადემიასთან. პირველად საქართველოში, სტივ ჯობსის ამერიკული აკადემია განახორციელებს ჰარვარდის მიერ აკრედიტებულ და ევროკომისიის მიერ აღიარებულ საგანმანათლებლო პროგრამებს საქართველოში. აკადემია 2008 წლიდან ახორციელებს სწავლებას 60 ქვეყანაში, სადაც 50,000-მდე მოსწავლეს ამზადებს იმისთვის, რომ მათ დაიკავონ თავისი ადგილი მსოფლიოს წამყვან ორგანიზაციებში. სტივ ჯობსის სახელობის ფონდი გასცემს 100%-მდე სასწავლო გრანტს მოსწავლეებისთვის პროგრამებზე სასწავლებლად. სწავლების რევოლუციური მეთოდის მეშვეობით, რომელიც შემუშავებულია youngengeneers-ის მიერ, ბავშვები 6 წლიდან ეუფლებიან პროგრამირებას. პროგრამა აგებულია STEM სწავლებაზე (მეცნიერება, ტექნიკა, ინჟინერია და მათემატიკა). კურსები მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. აკადემია შპს „ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის“ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში

მოსწავლეებს მოემსახურება უფასოდ. სკოლაში სისტემატურად ხდება მოსწავლეთა პროგრესის შესწავლა, სადიაგნოსტიკო შეფასებები, რეიტინგების შედგენა.

19. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით სკოლა ახალისებს მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგში, კონფერენციებში, სემინარებში.

საანგარიშო პერიოდში ცხრა მასწავლებელმა აიმაღლა პროფესიული სტატუსი, გახდა უფროსი და წამყვანი მასწავლებელი.

20.დასკვნა

შპს „ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის“ მიერ დასახული შვიდწლიანი სტრატეგიული ამოცანები განხორციელებულია.